



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საკატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ღირებულების

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



MIA 4 19 00187797



24/01/2019

„უკონტაქტო პატრულირების განხორციელების სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2019 წლის 09 იანვრის №51696 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „პოლიციის სარგებლობაში არსებულ შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკის, არასტაციონარული (მოძრავი) სიჩქარის მზომი ხელსაწყოებისა და გამოყენების, აგრეთვე მონაცემთა დამუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის №328 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 25 აპრილის №53 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „უკონტაქტო პატრულირების განხორციელების სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2019 წლის 09 იანვრის №51696 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქ. ბათუმი:

- ზ. გორგილაძის ქუჩა (ორმხრივად, არაუმეტეს 5 კმ.);
- ი. ჭავჭავაძის ქუჩა - ა. პუშკინის ქუჩა (ორმხრივად);
- დ. აღმაშენებლის ქუჩის წრიული მოძრაობის გზაჯვარედინიდან ტბელ აბუსერიძის ქუჩა - დ. აღმაშენებლის ქუჩა - ი. კობალაძის ქუჩა (ორმხრივად).“

ბ) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „დ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„დ) ქ. რუსთავი:

- ჟ. შარტავას გამზირზე - მეგობრობის გამზირზე - ი. ცურტაველის ქუჩა - თბილისის ქუჩა - მშენებელთა ქუჩა - მ. კოსტავას ქუჩა (ორმხრივად);

- ი. ჭავჭავაძის ქუჩა (ორმხრივად);
- შ. რუსთაველის ქუჩა (ორმხრივად);
- გ. ლეონიძის ქუჩა (ორმხრივად);
- პ. თოდრიას ქუჩა (ორმხრივად);
- ნ. გიორგაძის ქუჩა (ორმხრივად);
- ნ. ლომოურის ქუჩა (ორმხრივად).“

2. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (info.police.ge).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, გულუას ქ. №10).

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
დირექტორი, პოლიციის პოლკოვნიკი
თეიმურაზ კუპატაძე

